საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2 წლის მუშაობის შედეგები

ქ. თბილისი
დეკემბერი, 2014 წ.


ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურა


- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
- სსიპ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
- ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
- სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
- სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
- სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- საჯარო ფინანსების მართვა
- საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განსაზღვრა
- სახელმწიფო ვალის მართვა
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ორმხრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა
- ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა
- სახელმწიფო მოძრავი ქონების მართვა
- ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა


ბიუჯეტის ეფექტიანობის ზრდა, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ფინანსების მართვა






ბიუჯეტის ეფექტიანობის ზრდა, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ფინანსების მართვა


% მშპ-თან მიმართებაში



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს



2012 წლის დეკემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები გაიზრდა 80.0 მლნ ლარით)

ბიუჯეტის ეფექტიანობის ზრდა, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ფინანსების მართვა

სახელმწიფო ბიუჯეტის სწორი გადანაწილების (მათ შორის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით), გასული წლებისგან განსხვავებით, რადიკალურად შეიცვალა და სოციალურად ორიენტირებული გახდა 2013-2014 წლების ბიუჯეტები. საბიუჯეტო სახსრები მთლიანად მიიმართა კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამაში გაწერილი და ჩვენი ხელისუფლების სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტების დასაფინანსებლად

- ✓ გაიზარდა ყველა კატეგორიის პენსიის მოცულობა
  - ასაკით პენსიონერების და მკვეთრად გამოხატული შშმ პირების პენსია - **150 ლარამდე**
  - სხვა დანარჩენი კატეგორიის პენსიონერების პენსია - **100 ლარამდე**
  - ძალოვანი უწყებებიდან 2005 წლამდე დათხოვნილი პირების პენსიები განისაზღვრა ნამსახურები წლებისა და მიღებული წოდებების მიხედვით
- ✓ **გაორმაგდა** სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებები
  - ოჯახის **პირველ წევრზე** 30 ლარის ნაცვლად **გახდა 60 ლარი**, ხოლო ყოველ **მომდევნო წევრზე** 24-ის ნაცვლად - **48 ლარი**
- ✓ **გაიზარდა** დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობები **45 ლარამდე**
- ✓ სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა ყველა მოქალაქისთვის - დაფინანსება **გაიზარდა 300,0 მლნ ლარზე** მეტით
- ✓ **გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები** და **ათობით მილიონი** ლარი გამოიყო **სკოლების მშენებლობისა-რეაბილიტაციისთვის**
- ✓ საჯარო სკოლების ყველა **მოსწავლე უზრუნველყოფილია** სასწავლო **სახელმძღვანელოებით**, ხოლო იმ მოსწავლეები, რომლებიც სკოლებიდან მოშორებით ცხოვრობენ, უზრუნველყოფილნი არიან **სასკოლო ავტობუსებით**
- ✓ დამატებითი რესურსი გამოიყო სტუდენტების სწავლის, პროფესიული განათლებისა და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად
- ✓ **მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით** 2014 წელს **პირველად** პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში **20,0 მლნ ლარამდე** იქნა გათვალისწინებული
- ✓ **გაიზარდა** სოფლის მეურნეობის დაფინანსება, რამაც შესაძლებელი გახადა რამდენჯერმე გაზრდილიყო როგორც **დამუშავებული მიწის** ფართობი, ასევე **მორწყული** ფართობების რაოდენობა

ბიუჯეტის ეფექტიანობის ზრდა, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ფინანსების მართვა

- **<u>მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გამჭირვალობის მიმართულებით</u>**

  - **დეტალური ინფორმაცია** წარედგინება საქართველოს პარლამენტს **„სხვა ხარჯების“** მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებთან მიმართებაში
  - პარლამენტში ბიუჯეტის შესრულების **ანგარიშში** დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია მთავრობისა და პრეზიდენტის **სარეზერვო ფონდებიდან** გამოყოფილი თანხების მოცულობებისა და მათი **მიზნობრიობის შესახებ**
  - თითოეული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია
  - **ვებ-გვერდზე** თავსდება ბიუჯეტის, მისი **შესრულების ანგარიშები და** შესაბამისი გზამკვლევები

- **ბიუჯეტის სტრუქტურული გაუმჯობესების** მიზნით, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, გრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე

- დონორ ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა **პროგრამული ბიუჯეტის შედგენის** მეთოდოლოგიისა და შერჩეული სამინისტროების პროგრამული ბიუჯეტის ფორმატისა და შინაარსის გაუმჯობესებაზე

ბიუჯეტის ეფექტიანობის ზრდა, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ფინანსების მართვა

- საქართველოს პარლამენტში წარდგენილია 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქტიური მუშაობის შედეგად განისაზღვრა ძირითადი ფისკალური და მაკროეკონომიკური პარამეტრები


- საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდისა და სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2015 წლის 1 იანვრიდან:

  - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აღსრულება და მასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია აღირიცხება ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში, ნაცვლად კომერციული ბანკებისა


  - ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მოხდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის და სახელმწიფო ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ოპერაციების აღრიცხვა შემოსულობების ყველა წყაროდან

  - იცვლება ამ ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტების დაგეგმის პროცესი და იგი მთლიანად ექცევა საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის (PFMS) ფარგლებში


სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები
(2010-2015 წლები)




მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები
(2011-2014 წლები)




რეალური ეკონომიკური ზრდა თვეების მიხედვით




ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები
(2009-2015 წლები)






შენიშვნა: *საბიუჯეტო დეფიციტის მიუხედავად, მნიშვნელოვანია რომ ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო შენარჩუნებულია დადებითი ნიშნულით, რაც ნიშნავს რომ ქვეყნის მიმდინარე შემოსავლები აღემატება მიმდინარე ხარჯებს*


ინფლაციის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის თვესთან



კერძო ინვესტიციები




ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად აღებული კრედიტები და სახელმწიფო ვალების მომსახურება




- *წარმოდგენილ გრაფიკში გათვალისწინებული არ არის საინვესტიციო კრედიტები, რომლებიც კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი*
- *2014 წელს დაგეგმილი ვალის აღება არ აჭარბებს სახელმწიფო ვალების მომსახურების თანხას, 2008 წელს იყო 4,5-ჯერ, ხოლო 2009-2010 წლებში 2,5-ჯერ მეტი*

სახელმწიფო ვალის დინამიკა მშპ-თან მიმართებაში




სახელმწიფო ვალის სტრუქტურის შედარება სხვადასხვა ქვეყნებთან

(2013 წლის მონაცემები)




მთავრობის ვალის მომსახურება


(ძირითადი თანხა + დარიცხული პროცენტი)




საქართველოს საგარეო ვალი სექტორების მიხედვით



მიმდინარე საინვესტიციო პროექტები
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების/განვითარების პარტნიორების მიხედვით



2012 წლის ნოემბრიდან შეთანხმებული პროექტები და პროგრამები სექტორების მიხედვით



ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან

- მსოფლიო ბანკის და სსფ-ს ჯგუფის შეხვედრა (Constituency Meeting)
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა
- სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონალური ფორუმი (ADB)
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წლიური შეხვედრა
- შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) წლიური შეხვედრა

ურთიერთობები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან

- თანამშრომლობა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან
- ლარში დენომინირებული ობლიგაციები (EBRD-იმ გამოუშვა, IFC და ADB გეგმავენ)
- შეთანხმება საფრანგეთის მთავრობასთან საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და PROPARCO-ს შესახებ
- ჩარჩო შეთანხმება სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციასთან (NEFCO)
- აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობა (E5P)
- შეთანხმება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) წარმომადგენლობის ოფისის შესახებ

ფისკალური პროგნოზირება და ანალიზი

- **2014 წლიდან** მნიშვნელოვნად **გაიზარდა** ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების შესახებ მომზადებული **ანალიტიკური ინფორმაციის არეალი** და იგი უკვე მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს როგორიც არის:

ყოველთვიური ეკონომიკური ზრდა, სეზონურად შესწორებული ეკონომიკური ზრდა, შეფასებული იქნა ფისკალური მულტიპლიკატორები, საგადასახადო ხარჯების მოცულობა და სხვა

- 2014 წლიდან დაიწყო **მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესწავლის დაგეგმვის სისტემის შექმნა**

- 2014 წლის პირველი კვარტლიდან დაიწყო **სტრუქტურული დეფიციტის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება**, დეფიციტის **გამოთვლა და ანალიზი**

- 2014 წელს დაიწყო მუშაობა **ფისკალური რისკების გამჟღავნებისა და მართვის საკითხებზე**

- 2014 წლიდან მზადდება და სამინისტროს **ვებ-გვერდზე ყოველი თვის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში თავსდება** ანალიტიკური მასალები ისეთ თემებზე როგორიცაა:

- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
- ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციები
- მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი
- საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შეფასება
- საგარეო ვალის მასტაბილიზებელი მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
- საგადამხდელო ბალანსი
- ფისკალური კონსოლიდაცია და ეკონომიკური ზრდა
- დანაზოგები-ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა
- საგადასახადო შემოსავლების ანალიზი
- საქართველო და მეზობელი ქვეყნები
- ეკონომიკური აქტივობის ანალიზი დარგობრივ ჭრილში

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“

2013 წლის გაზაფხულზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით დაიწყო მუშაობა და ქვეყნის ხელისუფლების მიერ უკვე დამტკიცდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“

- სტრატეგია მომზადდა ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, აგრეთვე სხვა სამინისტროების და დამოუკიდებელი ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით

სტრატეგიის მიზანია

- **ყოვლისმომცველი** (ინკლუზიური) **ეკონომიკური ზრდა**
- **მოსახლეობის** საყოველთაო **ჩართულობა** ეკონომიკური განვითარების პროცესში
- ეკონომიკური ზრდის შედეგად **საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა**, მათი სოციალური თანასწორობა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება

საკანონმდებლო ინიციატივები დიბერალიზაციის მიმართულებით

ჩვენი მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის, მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნის უზრუნველყოფისკენ.

სწორედ ამ მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად:

- **შემოვიღეთ დაუბაგრავი მინიმუმის ცნება**

*2014 წლის პირველი აპრილიდან - **დღემდე 459 766 ფიზიკურ პირზე***
დაბრუნებულია 128 060 800 ლარი

- საგადასახადო დავალიანების იძულებითი გადახდევინება დაიწყება მხოლოდ საგადასახადო დავის დასრულების შემდეგ
- შემსუბუქდა სანქციები საკონტროლო-სალარო აპარატის და სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის
- შემსუბუქდა საგადასახადო სანქციები, მათ შორის გადასახადის დაგვიანებით გადახდისათვის დადგენილი საურავის ოდენობა 0,07%-იდან შემცირდა 0,06%-მდე
- სასოფლო-სამეურნეო ან სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი პირი გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან, თუ იგი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში მაინც განახორციელებს აღნიშნული მოგების რეინვესტირებას და ამ შეღავათის გამოყენებისთვის არ იქნება სავალდებულო რეინვესტირების ერთ წელიწადში განხორციელება
- საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება, ნაცვლად ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებისა, განთავისუფლდა დღგ-სგან ჩათვლის უფლებით

საკანონმდებლო ინიციატივები ლიბერალიზაციის მიმართულებით

- 2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო/მოგების **გადასახადისგან გათავისუფლდა** სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ **საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის** პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი **შემოსავალი**, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს

- 2014 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო **გადასახადისგან გათავისუფლდა** ბავშვობიდან **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის**, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი **შემოსავალი 6000 ლარამდე**, ნაცვლად დღეს არსებული 3000 ლარისა

- ეტაპობრივად განხორციელდება საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის 6 წლიანი **ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება**. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ხანდაზმულობის ვადა შემცირდება- 5 წლამდე, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე - 4 წლამდე, 2017 წლიდან - 3 წლამდე

- საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე ასეთი ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი გათავისუფლდა საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან;

საკანონმდებლო ინიციატივები ლიბერალიზაციის მიმართულებით

პარლამენტში განსახილველად წარდგენილი ცვლილებების პროექტი, რომლის შესაბამისად:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრი, უფლებამოსილი იქნება გამოსცეს **საჯარო გადაწყვეტილება**, საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შესახებ

(თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად დაუშვებელი იქნება მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის/სანქციის დარიცხვა)

- **დღგ-სგან თავისუფლდება შიდა გადამუშავების** სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში მონტაჟის, აწყობის, რემონტის, წარმოების, შეკეთების და სხვა სახის **მომსახურების გაწევა**

- **დავალიანების გადახდევინების გადავადება** შესაძლებელი გახდება **ერთი წლით**, **უზრუნველყოფის** საშუალებების წარდგენის **გარეშე**, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს

- **სუსტი კაპიტალიზაციის** მარეგულირებელი დებულებების **ნორმების გამოყენება გადავადდება** 2016 წლის 1 იანვრამდე

- ტურისტული სექტორის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვნად იხვეწება და **მარტივდება ტურისტული საწარმოს** საგადასახადო **ვალდებულებების** შესრულებასთან დაკავშირებული დებულებები

ჩამოწერას დაექვემდებარება :

- **2005 წლის 1 იანვრამდე** წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო **<u>დავალიანების თანხა</u>**, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება

- **2009 წლის 1 იანვრამდე** წარმოშობილ **აღიარებულ** საგადასახადო **დავალიანებაზე** დარიცხული **საურავი** და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული **ჯარიმა**, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება

- **საკონტროლო სალარო აპარატის** გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის **2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული** და ამ ნორმის ამოქმედებამდე **გადაუხდელი ჯარიმა**

საკანონმდებლო ინიციატივები ლიბერალიზაციის მიმართულებით

- **შემცირდა მომსახურების საფასურები:**

  - 3000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების საფასური **150 ლარიდან შემცირდა 100 ლარამდე**

  - საბაჟო გამშვებ პუნქტ „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული 3000 ლარამდე **საბაჟო** ღირებულების **საქონლის გაფორმებისათვის** მომსახურების საფასური **100 ლარიდან 20 ლარამდე შემცირდა**

  - შემცირდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გაფორმების მიზნით, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გაგრძელების საფასური - **100 ლარს + 5 ლარი** ყოველ კალენდარულ დღეზე, **ნაცვლად 100 ლარს + 10 ლარისა**

მუშავდება არაერთი სხვა საკანონმდებლო ინიციატივა. მათ შორის, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, .საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში, განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. გამარტივდება საბაჟო წესები და პროცედურები. განხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) ნაწილში. გამარტივდება გადასახადის ადმინისტრირება და განხორციელდება საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

- 2014 წლის 30 ივნისს პარიზში OECD-ის **გლობალ ფორუმის ექსპერტთა** ჯგუფის წევრი სახელმწიფოების **მიერ ერთხმად** იქნა დამტკიცებული ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შეფასების პირველი ფაზის ანგარიში და **აღიარებულ იქნა** რომ **საგადასახადო** საკითხებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში მოქმედი საქართველოს **კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს**

- **შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები**


  - **ძალაში შევიდა** შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები **სერბეთთან, ეგვიპტესთან, სან მარინოსთან, ქუვეითთან, სლოვენიასთან, ხორვატიასა და შვედეთთან**

  - **ხელი მოეწერა და რატიფიცირებულ იქნა** ოქმი **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან** შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

  - **ხელი მოეწერა შეთანხმებას პორტუგალიასთან**


შემოსავლების სამსახურის მიერ დასრულებული საგადასახადო შემოწმებები

(2013 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 27 ნოემბრამდე)



შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული საკონტროლო შესყიდვები

(2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 25 ნოემბრამდე)



საბაჟოზე დანერგილი სიახლეები

- შეიქმნა და ამოქმედდა ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემა
- სსიპ - შემოსავლების სამსახურსა და სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს შორის დაინერგა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული იმპორტის/ტრანზიტის ნებართვების აღრიცხვისა და ინფორმაციის რეგულარული გაცვლის ერთიანი ელექტრონული სისტემა
- 2014 წლის აპრილიდან ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში უფუნქციოდ არსებული სასწავლო ცენტრის ბაზაზე დაიწყო მოქმედება **კიბოლოგიის ცენტრმა**
- დაინერგა **საბაჟო დეკლარაციის შესახებ** (C ნომრის, რისკის პროფილის მიერ განსაზღვრული დერეფნის ფერისა და A ნომრის თაობაზე) **შეტყობინების გადასახადის გადამხდელის მობილურ ტელეფონზე გაგზავნის მომსახურება**
- დაინერგა საქონლის გაფორმების შესაძლებლობები:

✓ **გეზ-ში რიგის რეზერვაცია rs.ge-ს მეშვეობით**, რიგის ნომრისა და საქონლის გაფორმების სავარაუდო დროის შესახებ ინფორმაციის მიღება

✓ **საქონლის დეკლარირება იმპორტიორის გეზ-ში მიუსვლელად** – სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმენტების დასკანერებული ვერსია გეზ-ში გამოცხადების შემდეგ ვებ-გვერდის მეშვეობით გადაეგზავნება ორგანიზაციას და მისი თანხმობის შემთხვევაში გეზ-ის ოფიცერი შეავსებს და დაასრულებს დეკლარაციას

საბაჟოზე დანერგილი სიახლეები

- იმპორტზე მოქმედი რეგულაციის მსგავსად, ძალაში შევიდა ექსპორტისა და შიდა გადამუშავების დროს საქონლის საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე წარდგენის შესაძლებლობა

- **ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით:**

✓ ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ გამარტივდა ტრანზიტის პროცედურები

✓ შემუშავდა ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ახალი ნუსხები და მნიშვნელოვნად შემცირდა ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სანებართვო ნუსხები

✓ შემუშავდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის ჩატარების ელექტრონული აქტები (CVED), რომელიც შედგება 2 ნაწილისგან:

1. ,,წინასწარი შეტყობინება'' (ივსება საქონლის მფლობელის მიერ)
2. ,,გადაწყვეტილება ტვირთის შესახებ'' (ივსება უფლებამოსილი პირის მიერ)

- სისტემატურად ხდება **რისკის პროფილების დამუშავება და განახლება**. მიმდინარეობს საბაჟო-გამშვები პუნქტებისათვის ლოკალური რისკის პროფილების შექმნა და აქტიური მუშაობა უცხო ქვეყნებთან ორმხრივი ინფორმაციის გაცვლაზე. ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური სამსახურის პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება, რათა უფრო ძლიერი და მოქნილი გახდეს რისკების მართვის სისტემა და მასზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლი

- იგეგმება საქონლის გაფორმების შესაძლებლობის დანერგვა – შემოსავლების სამსახურის ნებისმიერი სერვის-ცენტრიდან განხორციელებული ვიდეო ზარის მეშვეობით – „მომხმარებლის კომპიუტერის“ მეშვეობით ატვირთული დოკუმენტების საფუძველზე

გადამხდელთა მომსახურება / სერვისების გამარტივება

- ამოქმედდა შემოსავლების სამსახურის **საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრი**

(გადამხდელს შესაძლებლობა ეძლევა ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია როგორც საკანონმდებლო სიახლეებსა და პროცედურულ ღონისძიებებზე, ასევე, საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებსა და პროცედურებზე)

ცენტრი **2013 წლის აგვისტოს თვიდან** ახორციელებს **ვიდეოაქტივაციას**, რომლის მეშვეობითაც გადამხდელი საგადასახადო სერვის ცენტრში მისვლის გარეშე, ვიდეო-ზარის მეშვეობით რეგისტრირდება ელექტრონული სერვისების გამოყენების მიზნით. განხორციელდა **1982 გადამხდელის აქტივაცია** ვიდეოზარის მეშვეობით, ხოლო **2412** გადამხდელზე განხორციელდა **პაროლის აღდგენა**; მომსახურების დეპარტამენტის საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის მიერ **განხილულია 242 416 ზარი**

- **ფუნქციონირებს PRIVE სერვისი,** სადაც კომფორტულად და ოპერატიულად იღებს მომსახურებას პროცედურულ საკითხებზე ამ სერვისით მოსარგებლე პირები და აგრეთვე აღნიშნული სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მსხვილი გადამხდელის სტატუსით მოსარგებლე პირებსაც; დღეის მდგომარეობით აღნიშნული სერვისით **სარგებლობს 300 ორგანიზაცია**

- **მოეწყო "ღია კარის" დღეები თბილისში**, კახეთში, იმერეთში, აჭარაში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და სამეგრელო-ზემო სვანეთში, რომლის ფარგლებშიც გადასახადის გადამხდელებისათვის მოეწყო პრეზენტაცია საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

- შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას ახორციელებს 16 სერვის-ცენტრის საშუალებით და 1 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია **429 497 გადამხდელს**

- განხილულ იქნა **5646 გადამხდელის წერილი** საკანონმდებლო საკითხებზე განმარტების გაცემის შესახებ, ხოლო **48 491 ელექტრონული წერილი**

- მომსახურების დეპარტამენტის მიერ რეგისტრაციის და სალარო აპარატის გარეშე ფუნქციონირების გამო შედგენილი იქნა 24 199 გაფრთხილების აქტი

- მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე პროცედურების **„ერთი ფანჯრის“ პრინციპით** განხორციელებაზე

განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

თანამედროვე საბაჟო და საგადასახადო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც გადამხდელთა სწრაფი, ეფექტური და კვალიფიციური მომსახურების დონის ამაღლების უწყობს ხელს, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა


- გაიხსნა გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“
- დასრულდა საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“-ს და სატვირთო ავტომობილების დასათვალიერებელი რამპის მშენებლობა
- დასრულების ეტაპზეა საბაჟო-გამშვები პუნქტის „კარწახი“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები
- მიმდინარეობს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „ნინოწმინდა“ და „ვალე“ სტაციონარული რენტგენოსკანერების სამონტაჟო სამუშაოები
- დასრულდა ძაღლების ვოლიერების მშენებლობა შემდეგ ობიექტებზე: საბაჟო-გამშვები პუნქტი „სადახლო“, საბაჟო-გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“, სსიპ შემოსავლების სამსახურის საწყობის ტერიტორია, გეზ „ბათუმი“
- კინოლოგიის კუთხით დასრულდა შემდეგი ობიექტების მშენებლობა: ორხევის ტერიტორიაზე ვოლიერები, კლინიკა, სავარჯიშო ეზო და ოთახები, „სადახლოს“ და „წითელი ხიდის“ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ვოლიერები, გეზ „ბათუმის“ ტერიტორიაზე ვოლიერები და სავარჯიშო ინფრასტრუქტურა

დაწყებულია

- საბაჟო-გამშვები პუნქტის „ნინოწმინდა“ მშენებლობა
- საბაჟო-გამშვები პუნქტის „ლაგოდეხი“ რეკონსტრუქია
- საბაჟო-გამშვებ პუნქტების: „ლაგოდეხი“ და „სადახლო“ ტერიტორიებზე სტაციონარული რენტგენოსკანერების მონტაჟი
- გეზ „ფოთი“ სტაციონარული რენტგენოსკანერის მონტაჟი
- სსიპ შემოსავლების სამსახურის საწყობის მშენებლობა
- ძაღლების ვოლიერების მშენებლობა საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე: „ლაგოდეხი“, “ვალე”, “ნინოწმინდა”, “კარწახი”, „ყაზბეგი“, დროებითი ვოლიერების მოწყობა სგპ “სარფში”


შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟოზე გამოვლენილი სამართალდარღვევები

(2014 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით)



შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟოზე გამოვლენილი სამართალდარღვევები

(2014 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით)



შემოსავლების სამსახურის მიერ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების გატარების შესახებ სტატისტიკური მონაცემები

- 2012 წლის განმავლობაში საქონლის შეჩერების შესახებ გამოიცა 16 ბრძანება
  - ✓ 13 შემთხვევაში საქონელი განადგურდა, 3 შემთხვევაში არ აღმოჩნდა კონტრაფაქცია

- 2013 წლის განმავლობაში საქონლის შეჩერების შესახებ გამოიცა 50 ბრძანება
  - ✓ 27 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე

- 2014 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით საქონლის შეჩერების შესახებ გამოცემულია 40 ბრძანება
  - ✓ 18 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე

შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟოზე განხორციელებული ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი


2014 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით

- საკარანტინო მავნე ორგანიზმების აღმოჩენის გამო სომხეთიდან იმპორტირებული კარტოფილის 96 სასაქონლო პარტია (2760,323 ტონა) დაექვემდებარა უკან დაბრუნებას, ხოლო 1 სასაქონლო პარტია (25 ტონა) - განადგურდა; თურქეთიდან იმპორტირებული დაფქული თხილის 1 სასაქონლო პარტია (20000კგ) აფლატოქსინების მაღალი შემცველობის გამო გაბრუნებულია უკან
- სხვადასხვა სახის მცენარეული წარმოშობის პროდუქტების 63 სასაქონლო პარტია დაექვემდებარა ფუმიგაციას, განადგურებას ან უკან გაბრუნებას
- გაყინული კამეჩის ხორცის 4 სასაქონლო პარტია (სულ 112 ტონა) მიკრობიოლოგიური დაბინძურების აღმოჩენის გამო (სულ 112 ტონა) დაექვემდებარა უკან დაბრუნებას, ხოლო 8 სასაქონლო პარტია (224 ტონა) - გადამუშავდა; ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელებისას ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე დაბრუნებულია უკან კანადიდან იმპორტირებული გაყინული თევზის (სელდი) - 1 სასაქონლო პარტია (25000კგ)
- სხვადასხვა სახის ცხოველური წარმოშობის პროდუქტების 73 სასაქონლო პარტია დაექვემდებარა უკან გაბრუნებას ან განადგურებას, ხოლო 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში გამოვლენილი იყო 3 შემთხვევა
- სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს მიერ გაცემულია:


(1894 ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა, 435 ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველური წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა, 13 ვეტერინარული სერტიფიკატი, 277 რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, 797 ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, 181 გემის სანიტარიული კონტროლისაგან განთავისუფლების მოწმობა, 291 ვაქცინაციის საერთაშორისო მოწმობა)

- **სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის** განხორციელებისას სასაზღვრო კონტროლის ზონაში **პოლიომიელიტზე ვაქცინაციას** დაექვემდებარა რისკის ჯგუფის ქვეყნებიდან გადაადგილებული 291 პირი, ხოლო **ებოლას ვირუსის** რისკის ჯგუფის ქვეყნებიდან რეგისტრირებულია 95 პირი, რომლებიც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ დაექვემდებარნენ ეპიდემიოლოგიურ მეთვალყურეობას


ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტები




ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური





ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური






ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური






ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური


წინასწარი გამოძიების დაწყება
კონტრაბანდა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობა




სისხლისსამართლებრივი დევნა
კონტრაბანდა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობა




ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური






ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური


წინასწარი გამოძიების დაწყება
ფულად-საკრედიტო სისტება




სისხლისსამართლებრივი დევნა
ფულად-საკრედიტო სისტება




ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური






შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის მიერ 2013 – 2014 წლის (1 ნოემბრის) მდგომარეობით განხილული საჩივრების ანალიზი

16,853 საჩივარი




შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს მიერ 2013 – 2014 წლის (1 ნოემბრის) მდგომარეობით განხილული საჩივრების ანალიზი

5,385 საჩივარი



ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში დასრულებული საჩივრების ანალიზი


საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი საჩივრების რაოდენობის მიხედვით



01.10.2012 – 01.12.2014 პერიოდში საბჭომ წარმოება დაასრულა 3246 საჩივარზე. მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 1431 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1304 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 511 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო

ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში დასრულებული საჩივრების ანალიზი

საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი დარიცხული თანხების მიხედვით




01.10.2012 – 01.12.2014 პერიოდში საბჭოს მიერ დასრულებული საჩივრების მიხედვით გასაჩივრებულმა დარიცხულმა თანხამ შეადგინა 664 მილიონი ლარი

შენიშვნა: დარიცხული თანხის ნაწილი საბჭოში საჩივრის განხილვამდე შემცირებულია შემოსავლების სამსახურის მიერ, ხოლო დარიცხული თანხის ნაწილი არ წარმოადგენს სავალდო თანხას

საგადასახადო შეთანხმებების გაფორმების სტატისტიკა 2013-2014 წლების *(26.11.2014წ.)*

1021 გადამხდელი



საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაცია

- ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის, გრაფიკში ცვლილების შეტანის, სასესხო დავალიანების პატიებისათვის შესახებ ბოლო 2 წლის განმავლობაში კომისიისათვის წარსადგენად შემოვიდა 90-მდე წერილობითი მომართვა

- იმ სუბიექტებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს მიეცათ შესაბამისი მითითებები და რეკომენდაციები; სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე საწარმოებიდან კომისიამ **3 სუბიექტს დაუკმაყოფილა** თხოვნა სესხის დაფარვის გრაფიკში შეტანის თაობაზე, ვადაზე **ადრე რეჟიმი შეუწყდა 7-ს**, სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე **დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 15**, ხოლო საგადასახადო დავალიანების **რესტრუქტურიზაციაზე 8 საწარმოს შემთხვევაში**. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და წარედგინა საქართველოს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად

- შემუშავებულ იქნა ინიციატივები „საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნული კანონით გადასახადის გადამხდელებისთვის და სახელმწიფოსგან სესხის მიმღებთათვის გაუმჯობესდა რესტრუქტურიზაციის პირობები, ხოლო სახელმწიფოსთვის - მის მიმართ არსებული ვალდებულებების ამოღების შესაძლებლობები

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

- 2013-2014 წლებში ევროკავშირის, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის, **ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით:**

✓ **3 საპილოტე სამინისტროში** (ფინანსთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინსტროები) განხორციელდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ზოგადი შეფასება. **ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს არსებული კონტროლის სისტემა**, თუმცა გამოყო რიგი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

✓ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების **174 შიდა აუდიტორი გადამზადდა,** განხორციელდა კურსი შიდა აუდიტის უფროსებისათვის, რომლებმაც შეისწავლეს როგორც სტრატეგიული დაგეგმვის საფუძვლები, ასევე პროექტების მართვა

✓ **3 სამინისტროში** (ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში) **განხორციელდა რისკის შეფასების სამი საპილოტე პროექტი**

✓ **4 სამინისტროში** პილოტურ რეჟიმში განხორციელდა **3 სისტემური, 1 ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, 1 შესაბამისობისა და 1 ფინანსური აუდიტი**

- **საქართველომ უმასპინძლა** მსოფლიო ბანკის ინიციატივით მოქმედი პროგრამის **„PEMPAL“-ის რიგით 23-ე პლენარულ შეხვედრას**. შეხვედრას ესწრებოდა 22 წევრი ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი და ოფიციალური პირები, რომლებიც ახორციელებენ შიდა აუდიტის რეფორმას აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში


- **ევროკომისიის საბიუჯეტო დირექტორატი დადებითად აფასებს** აღნიშნულ დარგში არსებულ პროგრესს და მხარდაჭერას აღუთქვამს რეფორმის განვითარებას

- შიდა აუდიტორთათვის შემუშავდა **შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო**

საჯარო ფინანსების ინტეგრირებული სისტემის მართვა/ახალი ელექტრონული სერვისების ამოქმედება

- **ერთიან სისტემაში მოექცა** საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისა და მისი აღსრულების მთლიანი ციკლი
- 2013 წლის 1 იანვრიდან მწყობრში შევიდა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მართვის სრულიად ახალი სისტემა **(მნიშვნელოვნად გაზრდილია სახაზინო და საბანკო ოპერაციების სისწრაფე)**
- **ამოქმედდა სრულიად** განახლებული ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა
- გაეშვა ელექტრონული აუქციონის სრულიად განახლებული ვერსია
- იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიქმნა ახალი ვებ-პორტალი ჩვენი მთავრობის „ღია მმართველობის“ კურსის მხარდასაჭერად
- ფინანსთა სამინისტროში მუდმივად იქმნება ახალი ელექტრონული სერვისები ბიზნესისათვის, მოსახლეობისათვის და სახელმწიფო მოხელეთათვის
- ფინანსთა სამინისტრო ასევე მუშაობს ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების კუთხითაც
- საქართველოში პირველად დაინერგა eCloud - ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიების სრულფასოვანი მომსახურება

სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სავაჭრო ობიექტების ნავაჭრი თანხის დინამიკა (ლარი)



2013 - 2014 წწ-ლს განხორციელებული სერვისები:

- Eauction.ge-ს განახლებული დიზაინი
- eMoney-ს ელექტრონული საფულე
- სწრაფი ჩარიცხვის აპარატების დამატება საგადახდო სისტემაში
- სიახლეების გამოწერის სერვისი
- გადახდის სისტემასა და აუქციონების მიმდინარეობასთან ინტეგრირებული მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისი
- აუქციონის სახელმძღვანელოს გვერდი
- „ლიბერთი ბანკი“-ს, „თიბისი ბანკი“-ს, „ქართუ ბანკი“-სა და “საქართველოს ბანკი“-ს საგადახდო სისტემები აუქციონის პორტალზე
- ქონების შეძენა ონლაინ-განვადების მეშვეობით
- უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესება

დაგეგმილი სერვისები:

- ონლაინ კონსულტაცია
- მობილური აპლიკაციები
- Qr კოდები
- ბრენდირებული ბარათები

2012 წელს სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგებმა თანხამ შეადგინა 8 045 873 ლარი

2013-2014 წლებში სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგებმა თანხამ შეადგინა 10 311 510 ლარი

მათ შორის :

- ინტერნეტაუქციონებიდან 7 143 158 ლარი
- სავაჭრო ობიექტებიდან 3 168 352 ლარი

2013-2014 წლებში **უსასყიდლოდ გადაცემული ქონების** ღირებულებამ, რომლის შედეგად დაიზოგა საბიუჯეტო სახსრები, შეადგინა 4 269 275 ლარი

ადამიანური რესურსების მართვა

- 263 თანამდებობაზე განისაზღვრა სამუშაოს აღწერილობა
- ჩატარდა სამუშაოს ანალიზი და თანამშრომელთა მოტივაციისა და კმაყოფილების კვლევა
- ახალი თანამშრომლებისათვის და სამინისტროს ცენტრალური აპარატის პრაქტიკანტებისთვის შემუშავდა საორიენტაციო პროგრამა
- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი
- შემუშავდა გამოსაცდელი ვადით დანიშნულ საჯარო მოსამსახურეთა ადაპტაციის გეგმა
- სამინისტროს საქმიანი პროცესების სტანდარტიზების მიზნით აღიწერა ბიზნეს პროცესები

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში

- **კონკურსის წესით დაინიშნა 2157 თანამშრომელი**
- სტაჟირება გაიარა **1138 სტაჟიორმა**
- პრაქტიკა გაიარა **1005 პრაქტიკანტმა**

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საგანმანათლებლო პროექტები

აკადემიის მისია ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუციისა და კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერაა. აკადემია ზრუნავს პროფესიული უნარების განვითარებასა და ცოდნის განმტკიცებაზე ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, ასევე, ქვეყნის მასშტაბით ადამიანური რესურსის კომპეტენციის გაძლიერებაზე სასერტიფიკაციო ტრენინგ პროგრამების ორგანიზებისა და განხორციელების საშუალებით

2013-2014 წლებში 30-ზე მეტი სხვადასხვა თემისა და მოდულის ფარგლებში

გადამზადდა 3300-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის - **637 თანამშრომელი**
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების - **585 თანამშრომელი**
- ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ინოვაციური პროექტებისა და რეფორმების თემატიკაზე სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან -**1000-ზე მეტი თანამშრომელი**
- სამინისტროს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეების თემატიკაზე ბიზნეს-სექტორის - **400-მდე წარმომადგენელი**
- ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის - **80 სტუდენტი**

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საგანმანათლებლო პროექტები

აკადემია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და უწყებასთან:

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, აშშ-ის საელჩო, აშშ-ის განვითარების სააგენტო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის საზღვრის ერთიანი მართვის პროექტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირი, ფინეთის საჯარო მმართველობის ინსტიტუტი, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემიის საჯარო სამსახურის განვითარებისა და ტრენინგების ცენტრი

- IMF-თან ერთობლივი ყოველწლიური სასწავლო კურსების ფარგლებში აკადემიაში განხორციელდა ხუთი რეგიონალური კურსი, პროგრამა დაასრულა 134-მა მსმენელმა
- ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საბიუჯეტო/საფინანსო თემებზე განხორციელდა 10 ტრენინგი და გადამზადდა 149 მსმენელი
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად გადამზადდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების 228 შიდა აუდიტორი
- აშშ-ის საელჩოსთან, გაეროს განვითარების პროგრამის საზღვრის ერთიანი მართვის პროექტთან და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად გადამზადდა 100-ზე მეტი ადამიანი

აკადემიაში განხორციელდა საჯარო სექტორში დასაქმების მსურველთა შერჩევისა და საჯარო მოხელეთა კონკურსი /ატესტაცია 2269 პირისთვის

- 2013 წლიდან აკადემია ჩაერთო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების „დაძმობილების“ პროექტში, რომლის მიზანია აკადემიის ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერება, მაღალი ხარისხის სატრენინგო და პროფესიული კარიერის განვითარების უზრუნველყოფა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და სხვა სექტორებისათვის. პროექტის ფარგლებში აკადემიამ შეიმუშავა და გამოსცემს ტრენინგების კატალოგსა და კალენდარს. ამასთან, აკადემიამ განავითარა სამი ელექტრონული კურსი, რომლებსაც 2015 წლიდან შესთავაზებს დაინტერესებულ ორგანიზაციებს

თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან

- **თანამშრომლობის მემორანდუმები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კავკასიის უნივერსიტეტთან, ღია უნივერსიტეტთან**

(გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ფინანსთა სამინისტრომ ვალდებულება აიღო ეკონომიკისა და ბიზნესის, აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებმა სტაჟირება და სასწავლო პრაქტიკა გაიარონ სამინისტროში)

- **ფინანსთა სამინისტრო საქართველოში ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი**

(დამფუძნებელთა შორის არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გერმანიის ქ.შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი)

- **საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის საჯარო ლექციათა კურსი 5 უნივერსიტეტში**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მუშაობის გამჭვირვალობის, მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის და მათთან მუდმივი დიალოგის უზრუნველსაყოფად:

- **ინტენსიური კომუნიკაციაა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან**

(ბიზნეს-საზოგადოება უშუალოდ უწყების პირველი პირებისგან იღებს დეტალურ ინფორმაციას სამინისტროს მიერ დაგეგმილი რეფორმების შესახებ და მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში)

- **შეიქმნა და ფუნქციონირებს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭო**

(საბჭოს შემადგენლობაში შედიან დამოუკიდებელი ექსპერტები, დარგის სპეციალისტები, არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები)

- **თითქმის ყოველთვიურ რეჟიმში იმართება შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან**

- **მოეწყო ოთხი მედიატური საბაჟო გამშვებ პუნქტებზე - „სარფი“, „წითელი ხიდი“ და „ყაზბეგი“, ასევე გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“**

- **დაწესდა საქართველოს ფინანსთა მინისტრთან მოქალაქეთა მიღების დღე**

- **ამოქმედდა საზოგადოებრივი მისაღები**

მონაწილეობა სოციალურ პროექტებში

- გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი მიხეილ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ „სისხლის ბანკთან“

სამინისტროს ყველა უწყების თანამშრომლები პერმანენტულად მონაწილეობენ სისხლის უანგარო დონაციის პროცესში

- ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სოლიდარობის აქციაში

3192 თანამშრომლისგან სოლიდარობის ფონდში ყოველთვიურად ირიცხება 8012 ლარი

- მომზადდა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით

- ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან ერთად პერმანენტულად ტარდება საქველმოქმედო აქციები - მოხუცებულთათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, უნარშეზღუდული და მიუსაფარი ბავშვებისათვის

- სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს “TBILISI MARATON 2014”-ში

შემოსული თანხა მიიმართა ბედიანის ბავშვთა სახლის მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის

გმადლობთ
ყურადღებისთვის !